მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №გ-35. 3525359001

2025 წლის 25 დეკემბერი

ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის ცხვარიჭამიის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ მშრალხევში მდებარე სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის ცხვარიჭამიის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ მშრალხევში მდებარე სახელწოდების არმქონე გეოგრაფიულ ობიექტებს – (ქუჩა და ჩიხები) მიენიჭოს სახელები თანდართული დანართისა და რუკის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მცხეთის მუნიციპალიტეტის ცხვარიჭამიის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ მშრალხევში მდებარე სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 12 დეკემბრის №გ-35.3525346001 განკარგულება.

3. განკარგულება გადაეგზავნოს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება გამოქვეყნდეს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება, გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ელოშვილი**